ნოტარიული თანხმობა

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

მე მალხაზი მაღრაძე (პ.ნ. 01010004394), როგორც შპს პალა-კვადრატ ჯგუფის (ს.კ. 404546185, კვადრატ ბილდერს გრუპის სამართალ-მემკვიდრეს) დირექტორი თანახმა ვარ შპს "რუმს ფემილის" (ს.კ.405390526)სახელზე, განცხადების ნომერი AR1800585, 28/01/2021 საფუძველზე, გაიცეს მშენებლობის ნებართვა და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "რუმს ფემილი".

ხელმომწერი შპს «პალა კვადრატ ჯგუფის» დირექტორი

---------- მალხაზი მაღრაძე

მალხაზ მაღრაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210089686
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.02.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლალი გზირიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, გამსახურდიას გამზირი 23. ბინა 47
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	236 99 99
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	88856184274321

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ოცდაერთი წლის რვა თებერვალს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში - მისამართზე ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ.23 ბ.47, მომმართა მალხაზ მაღრაძემ. მან წარმოდგენა შპს პალა-კვადრატ ჯგუფის (ს.კ. 404546185) სახელით გაცემული თანხმობა და მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდასატურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ ნამდვილად მალხაზ მაღრაძემ (დაბადებული 27.12.1977წ ზესტაფონში, რეგ თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, კვ. 1, კორ 3, ბ 1, პირადი#01010004394) მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ მალხაზ მაღრაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე დოკუმეტზე, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა 2 (ორი)ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 36(ოცდათექვსმეტი)თეთრი +საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 2 (ორი)ლარი, სულ გადახდილია 4 (ოთხი)ლარი და 36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი.

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი


შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი:

ნასყიდობის ხელშეკრულება

7,4 პუნქტში გათვალისწინებულია ყველანაირი უფლების გადაცემა

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

თბილისი, საქართველო
2020 წლის 16 ივლისი

წინამდებარე **უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება** (შემდგომში - **„ხელშეკრულება“**) ფორმდება შემდეგ მხარეებს შორის:

ერთის მხრივ, **აკაკი ბერიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01017008987, მისამართი: საქართველო, თბილისი, შარაშიძის (ყოფილი ი. ნიკოლაძის შეს.) N5), **გიორგი მოისწრაფიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01008025043, მისამართი: საქართველო, თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა N28, ბინა 57) და **დავით გზირიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01010004630, მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ჭავჭავაძის I შესახვევი N6, ბინა 78), რომელსაც წარმოადგენს მისი რწმუნებული **აკაკი ბერიშვილი** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: 01017008987, მისამართი: საქართველო, თბილისი, შარაშიძის (ყოფილი ი. ნიკოლაძის შეს.) N5) (საფუძველი: სანოტარო აქტი სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, დამოწმებული 08.05.2017 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170490823) (შემდგომში ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც - **„გამყიდველი“**);

და

მეორეს მხრივ, **შპს „რუმს ფემილი“** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405390526, მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა N15) (შემდგომში მოიხსენება, როგორც - **„მყიდველი“**), წარმოდგენილი დირექტორის **მალხაზ მაღრაძის** (პ/ნ 01010004394) მიერ.

ამ „ხელშეკრულებაში“ „გამყიდველი“ და „მყიდველი“ ერთობლივად მოიხსენება როგორც - **„მხარეები“**, ხოლო, თითოეული ცალ-ცალკე კი - როგორც **„მხარე“**.

პრეამბულა

ვინაიდან, „გამყიდველს“ წილობრივ საკუთრებაში აქვს ამ „ხელშეკრულების“ 1.2 პუნქტში აღწერილი უძრავი ქონება (შემდგომში - **„ქონება“**) და გადაწყვეტილი აქვს „ქონების“ გასხვისება;

ვინაიდან, „მყიდველს“ გადაწყვეტილი აქვს „გამყიდველისგან“ „ქონების“ შესყიდვა;

ამრიგად, ერთმანეთისათვის გაკეთებული განაცხადებისა და დაპირებების გათვალისწინებით, „მხარეები“ თანხმდებიან, გააფორმონ წინამდებარე „ხელშეკრულება“, ქვემოთ მითითებული პირობებით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე „ხელშეკრულების“ საფუძველზე, „გამყიდველი“ საკუთრებაში გადასცემს „მყიდველს“ „ქონება“, ყველა შესაბამისი უფლების, სარგებლის და ვალდებულების თანხლებით, ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესითა და პირობებით, ხოლო „მყიდველი“ კი, თავის მხრივ, ვალდებულია გადაუხადოს „გამყიდველს“ „ნასყიდობის ფასი“ (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ქვემოთ) სრულად, ამ „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად.

1.2. ამ „ხელშეკრულების“ საფუძველზე შესაძენ „ქონებას“ გააჩნია შემდეგი მახასიათებლები, რაც დასტურდება სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ (შემდგომში - **„საჯარო რეესტრი“**) მონაცემთა ბაზიდან ამოღებული ამონაწერით:

ზონა: თბილისი 01;
სექტორი: გლდანი 11;
კვარტალი: 13;
ნაკვეთი: 001/104;
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;
დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ.;

აკაკი ბერიშვილი — მალხაზ მაღრაძე

მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ;
მესაკუთრეები: აკაკი ბერიშვილი - **20%**, გიორგი მოისწრაფიშვილი - **58%**, დავით გზირიშვილი - **22%**;
საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.104.

1.3. „ქონების“ ამონაწერი რომელიც გაცემულია „საჯარო რეესტრის“ მიერ, თანდართულია „ხელშეკრულების“ დანართი N1-ის სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე „ხელშეკრულების“ შემადგენელ და გაუყოფელ ნაწილს.

1.4. „ქონება“ მოიცავს ნებისმიერ დროებით ან მყარად დამაგრებულ ნაგებობას, მინაკუთვნს, ნარგავებს, ხეებს და „ქონების“ ნაყოფს, რაც კი შეიძლება განთავსებული იყოს ამ „ქონებაზე“, მაშინაც კი თუკი იგი ასახული არ არის „ქონების“ ამონაწერში.

2. გამყიდველის განცხადებები და გარანტიები

2.1. ამ „ხელშეკრულების“ დადებამდე, „გამყიდველი“ „მყიდველის“ წინაშე აკეთებს შემდეგ განცხადებებსა და გარანტიებს:

2.1.1. „გამყიდველი“ წარმოადგენს „ქონების“ ერთადერთ და ექსკლუზიურ იურიდიულ მესაკუთრეს. „ქონებასთან“ მიმართებაში არ გაკეთებულა რაიმე მოდიფიკაცია (მშენებლობა, გათხრები და ა.შ.), გარდა ისეთისა, რომელიც პირდაპირ არის მითითებული „ქონების“ ამონაწერში ან სხვაგვარად გახდა ცნობილი „მყიდველისათვის“;

2.1.2. „ქონებას“ არ გააჩნია რაიმე ნაკლი, ნივთობრივი თუ უფლებრივი, ამ „ხელშეკრულების“ „მხარეთა“ მიერ გაფორმებისას გარდა ისეთებისა, რომელიც პირდაპირაა ასახული შესაბამის ამონაწერებში. „ქონებასთან“ დაკავშირებით არ არსებობს რაიმე დამატებითი/სხვა დატვირთვა ან მესამე პირთა უფლება (მათ შორის არარეგისტრირებული), არსებული თუ სამომავლო;

2.1.3. „ქონება“ მთლიანად ან ნაწილობრივ **(ა)** არ არის გადაცემული ნებისმიერ მესამე პირზე გაყიდვით, გაცვლით ან უსასყიდლოდ გადაცემით ან სხვა ნებისმიერი სახით; **(ბ)** არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად; **(გ)** არ არის ექსპროპრირებული, ნაციონალიზებული, დაყადაღებული და ა.შ.;

2.1.4. „ქონებასთან“ დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დავა, რაც გავლენას ახდენს ან/და რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს „ქონებაზე“ „გამყიდველის“ საკუთრების უფლებაზე. იმ შემთხვევაში თუკი წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდგომ, ნებისმიერ დროს „ქონებასთან“ ან მასზე „გამყიდველის“ საკუთრების უფლებასთან მიმართებით წარმოიშობა რაიმე სამართლებრივი წარმოება ან დავა, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერამდე პერიოდთან და ეწინააღმდეგება გამყიდველის განცხადებებსა და გარანტიებს, „გამყიდველი“ სრულად იქნება პასუხისმგებელი მის შედეგებზე.

2.2. „გამყიდველი“ აცნობიერებს, რომ „მყიდველი“ ამ „ხელშეკრულებას“ აფორმებს 2.1 პუნქტში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე განაცხადი და/ან გარანტია აღმოჩნდება ცრუ ან შეცდომაში შემყვანი, „გამყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას აარიდოს „მყიდველს“ და უზრუნველყოს ამ უკანასკნელის დაცვა ყოველგვარი მოთხოვნისა თუ სარჩელისგან, რომელიც გამომდინარეობს მესამე პირთა მიერ საკუთარი თავის „ქონების“ ან მისი ნაწილის კანონიერ მესაკუთრედ გამოცხადებიდან ან სხვაგვარი გზით „ქონებაზე“ უფლების/ინტერესის გამოცხადებიდან. „მყიდველს“ ასევე გააჩნია უფლება შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ 8.1 პუნქტის შესაბამისად.

3. მყიდველის განცხადებები და გარანტიები

3.1. ამ „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე, „მყიდველი“ „გამყიდველის“ წინაშე აკეთებს შემდეგ განცხადებებსა და გარანტიებს:

3.1.1. „მყიდველმა“ მოიპოვა ყველა საჭირო თანხმობა და დასტური ამ „ხელშეკრულების“ დასადებად;

3.1.2. „მყიდველს“ გააჩნია საკმარისი თანხები ამ „ხელშეკრულების“ დასადებად.

3.1.3. „მყიდველი“ გაეცნო „ქონების“ ნივთობრივ და უფლებრივ მდგომარეობას (რაშიც არ იგულისხმება „ქონების“ ფარული ნაკლი) და აცხადებს, რომ მისი მდგომარეობა მისაღებია „ქონების“ გამოყენების მიზნებისათვის;

გიორგი მოისწრაფიშვილი

აკაკი ბერიშვილი

4. აღნაგობა

4.1. „მყიდველი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია „ქონებაზე“ მესამე პირის აღნაგობის უფლების შესახებ, რომლის საფუძველია სანოტარო აქტი აღნაგობის წინარე ხელშეკრულებისა და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულების შესახებ, რეესტრის N171446483, დამოწმების თარიღი: 13.12.2017წ., „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის ნომერი: 892017222002 (შემდგომში - **„აღნაგობის წინარე ხელშეკრულება“**).

4.2. „აღნაგობის წინარე ხელშეკრულების“ საფუძველზე, „ქონების“ მესაკუთრეებს (არსებულს ან სამომავალოს) არ აქვთ უფლება „ქონება“ დატვირთონ იპოთეკით, ან სხვა ვალდებულებით მოაღნაგის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე. ასევე, „მხარეები“ ვალდებულნი არიან შეასრულონ „აღნაგობის წინარე ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა პირობები. წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების წინ, მოაღნაგემ თანხმობა განაცხადა წინამდებარე „ხელშეკრულების“ დადების შესახებ. თანხმობა წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ ერთად წარედგინება „საჯარო რეესტრს“.

4.3. „მყიდველი“ აცხადებს და ადასტურებს, რომ იცნობს „აღნაგობის წინარე ხელშეკრულების“ პირობებს, მზად არის ჩაანაცვლოს „გამყიდველი“ და იკისროს „აღნაგობის წინარე ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „გამყიდველის“ მოვალეობები, ასევე მიიღოს მისი უფლებები.

5. საკუთრების გადასვლა

5.1. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ექვემდებარება „საჯარო რეესტრში“ სავალდებულო წესით რეგისტრაციას, რაც გამოიწვევს „მყიდველის“ სახელზე სრული საკუთრების უფლების დაუყოვნებლივ რეგისტრაციას. საკუთრების რეგისტრაცია დადასტურდება შესაბამისი განახლებული ამონაწერით „საჯარო რეესტრის“ მონაცემთა ბაზიდან. „ხელშეკრულების“ „საჯარო რეესტრისათვის“ წარდგენის უფლებამოსილება გააჩნიათ ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს, ერთად ან/და ცალ-ცალკე;

5.2. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველი“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ნებისმიერი მიზეზით სრულ „ქონებაზე“ (თითოეული და ყველა თანამესაკუთრის წილობრივ საკუთრებაზე) ვერ დაირეგისტრირებს უფლებრივად უნაკლო საკუთრების უფლებას (გარდა „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებისა/უფლებრივი ნაკლისა), მაშინ „მყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“.

6. ნასყიდობის ფასი და გადახდის პირობები

6.1. „ქონების“ მთლიანი ნასყიდობის ფასი შეადგენს **242,500 (ორას ორმოცდაორი ათას ხუთასი)** აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში (შემდგომში - **„ნასყიდობის ფასი“**). „ნასყიდობის ფასი“ მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ „გამყიდველის“ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

6.2. „ნასყიდობის ფასის“ ნაწილი - **15,000 (თხუთმეტი ათასი)** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდილია ავანსის სახით, წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერამდე, ხოლო დარჩენილ 227,500 (ორას ოცდაშვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში „მყიდველი“ გადაუხდის „გამყიდველს“ შემდეგნაირად:

6.2.1. **127,500 (ას ოცდაშვიდი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში,** გადახდა მოხდება მას შემდეგ რაც „ქონებაზე“ სრულად დარეგისტრირდება „მყიდველის“ უნაკლო საკუთრების უფლება, თავისუფალი ყოველგვარი შეზღუდვის თუ უფლებრივი ტვირთისაგან (გარდა „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლით გათვალისწინებული უფლებრივი ნაკლისა), რაც დადასტურდება „საჯარო რეესტრის“ მიერ გაცემული „ქონების“ განახლებული ამონაწერით. თანხის გადახდა მოხდება „საჯარო რეესტრის“ მიერ განახლებული ამონაწერის გაცემისთანავე, უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“
SWIFT კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE10BG0000000937642400
მიმღები: დავით გზირიშვილი

6.2.2. „ნასყიდობის ფასის“ დარჩენილ ნაწილს - **100,000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში,** „მყიდველი“ გადაუხდის „გამყიდველს“ - გიორგი მოისწრაფიშვილის (პ/ნ 01008025043) არაუგვიანეს 2021 წლის 10 ივლისისა. აქვე, „გამყიდველი“ გიორგი მოისწრაფიშვილი (პ/ნ 01008025043) უფლებას აძლევს „მყიდველს“ „ნასყიდობის ფასი“ თავისი შეხედულებისამებრ გადაიხადოს მატერიალური ან არამატერიალური ფორმით. არამატერიალური ფორმით გადახდის შემთხვევაში, „მყიდველი“ „გამყიდველ“ გიორგი მოისწრაფიშვილს (პ/ნ 01008025043) საკუთრებაში გადასცემს 218 კვ.მ. ფართობი შავი კარკასის მდგომარეობაში არსებულ საცხოვრებელ ფართებს (1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს 458.7 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში), მშენებარე ან/და აშენებულ მდგომარეობაში, რომლებიც განთავსებული იქნება / განთავსდება შემდეგი საკადასტრო კოდების მქონე ნაკვეთებზე ან მათგან რომელიმეზე: **01.11.13.001.102, 01.11.13.001.103, 01.11.13.001.104** (შემდგომში - **„საცხოვრებელი ფართი“**). „ნასყიდობის ფასის“ დარჩენილი ნაწილის (100,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში) არამატერიალური ფორმით გადახდის უფლების გამოყენების შემთხვევაში, „მყიდველის“ მიერ „საცხოვრებელი ფართი“ „გამყიდველი“ გიორგი მოისწრაფიშვილის (პ/ნ 01008025043) საკუთრებაში გადაცემის საკითხი დეტალურად დარეგულირდება „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლით.

6.2.3. მიუხედავად „მყიდველის“ 6.2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა, „გამყიდველი“ თანახმაა და იწონებს „ქონების“ „მყიდველის“ სრულ და ერთპიროვნულ საკუთრებაში რეგისტრაციის ფაქტს.

6.3. „ნასყიდობის ფასის“ „ხელშეკრულების“ 6.2. პუნქტის შესაბამისად გადახდის შემთხვევაში, „მყიდველის“ მხრიდან „ნასყიდობის ფასის“ გადახდის ვალდებულება ჩაითვლება სრულად შესრულებულად.

7. გადასაცემი ქონება

7.1. „ხელშეკრულების“ 6.2.2. პუნქტის საფუძველზე და შესაბამისად, „მყიდველის“ მიერ „საცხოვრებელი ფართის“ „გამყიდველის“ - გიორგი მოისწრაფიშვილის (პ/ნ 01008025043) საკუთრებაში რეგისტრაცია მოხდება არაუგვიანეს 2021 წლის 10 ივლისისა. საკუთრებაში გადაცემის მომენტში, „საცხოვრებელი სახლი“ იქნება მშენებარე ან აშენებულ მდგომარეობაში, ექნება ინდივიდუალური ამონაწერი და მინიჭებული ექნება ინდივიდუალური საკადასტრო კოდი. ამასთან, „საცხოვრებელი ფართი“ შესაძლოა რეგისტრირებული იყოს რამდენიმე ბინა ერთეულად, ჯამური ფართობის (218 კვ.მ.) შეუცვლელად.

7.2. გიორგი მოისწრაფიშვილისთვის (პ/ნ 01008025043) საკუთრებასა და მფლობელობაში გადასაცემი „საცხოვრებელი ფართი“ მშენებლობის დასრულების შემდეგ და მფლობელობაში გადაცემის მომენტში, იქნება ე.წ. „შავი კარკასის“ მდგომარეობაში, რაც გულისხმობს შემდეგს:

- შენობაში კიბის უჯრედში კედლები და ტიხრები მობათქაშებული;
- შენობის ფასადი მოპირკეთებული;
- შენობის ფასადზე ფანჯრები და ვიტრაჟები მოწყობილი;
- კიბის უჯრედები და სადარბაზო მოწყობილი სამშენებლო პროექტის შესაბამისად;
- წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები „საცხოვრებელ ფართამდე“ მიყვანილი;
- ელექტროგაყვანილობა „საცხოვრებელ ფართამდე“ მიყვანილი;
- გაზის მილები „საცხოვრებელ ფართამდე“ მიყვანილი;
- სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები დასრულებული;
- „საცხოვრებელ ფართში“ შესასვლელი კარი დამონტაჟებული;
- სადარბაზოში ლიფტი დამონტაჟებული;

7.3. წინამდებარე „ხელშეკრულების“ 6.2.2. პუნქტით გათვალისწინებული „მყიდველის“ ვალდებულება „გამყიდველი“ გიორგი მოისწრაფიშვილის (პ/ნ 01008025043) სასარგებლოდ, დარეგისტრირდება „საჯარო რეესტრში“, „ქონების“ ამონაწერის ვალდებულებით გრაფაში. 6.6.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთანავე, მოხდება „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირებული ვალდებულების გაუქმება და ამოშლა ამონაწერიდან.

7.4. წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით, „გამყიდველი“ „მყიდველს“ აძლევს უპირობო და გამოუთხოვად უფლებას და აცხადებს გამოუთხოვად თანხმობას, რათა „მყიდველმა“, ამ „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან ნებისმიერ დროს, დამოუკიდებლად და „გამყიდველის“ თანხმობის გარეშე, უზრუნველყოს „ქონებაზე“ ნებისმიერი შენობა-ნაგებობის, მათ შორის დამატებითი შენობა-

ნაგებობების მშენებლობა, შესაბამისი მშენებლობის ნებართვების მოპოვება, არსებული მშენებლობის ნებართვებისა და სამშენებლო პროექტის ცვლილება (მათ შორის არაერთგზის) და აღნიშნული ცვლილებების რეგისტრაცია „საჯარო რეესტრში“, აშენებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შეყვანა და აღნიშნულთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცედურის წარმოება და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდგომ, აღნიშნულის რეგისტრაცია „საჯარო რეესტრში“, „ქონების“ დაყოფა / გაერთიანება (მათ შორის სხვა ნაკვეთთან), შენობა-ნაგებობების მშენებარედ რეგისტრაცია და ბინა-ერთეულების განშლა, განშლის ცვლილებების რეგისტრაცია და ნებისმიერი სხვა სარეგისტრაციო წარმოების განხორციელება „საჯარო რეესტრში“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაციის მიზნით, განშლის შემდგომ დარეგისტრირებული ბინა-ერთეულების მონაცემებში ცვლილებების რეგისტრაცია „მყიდველის“ ერთპიროვნული შეხედულებისამებრ და აღნიშნულისთვის, „საჯარო რეესტრისთვის“ ან/და ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსთვის ან „მესამე პირისთვის“ საჭირო არ იქნება „მყიდველის“ დამატებითი თანხმობის წარდგენა. „მყიდველი“ ასევე უფლებამოსილია, „გამყიდველის“ თანხმობის გარეშე, ნებისმიერ დროს მოახდინოს „ქონებაზე“ ასაშენებელ შენობა-ნაგებობაში ფართების გასხვისება, დატვირთვა, გადაცემა, გაჩუქება, გაქირავება და ნებისმიერი სხვა ფორმით განკარგვა, თავისი შეხედულებისამებრ.

7.5. „მყიდველი“ ასევე უფლებამოსილია, „ქონებაზე“ საკუთრების უფლების მოპოვების შემდეგ, ნებისმიერ დროს მოახდინოს „ქონების“ გასხვისება, გაჩუქება, გადაცემა ნებისმიერ მესამე პირზე, „გამყიდველის“ თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ „ხელშეკრულების“ 7.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება გადაყვება „ქონების“ ახალ შემძენს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. „გამყიდველის“ მიერ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი პირობის დარღვევის შემთხვევაში, წინამდებარე „ხელშეკრულება“ ექვემდებარება „მყიდველის“ მიერ ცალმხრივად შეწყვეტას, რა დროსაც თითოეული „მხარე“ დაუბრუნებს მეორეს ყველაფერს, რაც მიღებული აქვს ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში (რესტიტუცია). „ქონებაზე“ საკუთრების უფლება „გამყიდველს“ დაუბრუნდება 4 (ოთხი) სამუშაო დღის განმავლობაში „მყიდველისათვის“ მის მიერ გადახდილი „ნასყიდობის ფასის“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად დაბრუნების შემდეგ.

8.2. „მყიდველის“ მიერ „ნასყიდობის ფასის“ გადახდის ვალდებულების 10 (ათი) დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში, წინამდებარე „ხელშეკრულება“ ექვემდებარება „გამყიდველის“ მიერ ცალმხრივად შეწყვეტას, რა დროსაც თითოეული „მხარე“ დაუბრუნებს მეორეს ყველაფერს, რაც მიღებული აქვს ამ „ხელშეკრულების“ ფარგლებში (რესტიტუცია).

8.3. „ხელშეკრულების შეწყვეტა“, რომლიც აღწერილია 8.1 და 8.2 პუნქტებში ეცნობება მხარეს წერილობითი შეტყობინების ფორმით, რომელიც გაიგზავნება ან დაზღვეული ფოსტით ან წერილობითი კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა საშუალებით (ელ-ფოსტის ჩათვლით). იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველი“ არ დაუბრუნებს „მყიდველს“ „ნასყიდობის ფასს“ სრულად აქ აღწერილი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, „მყიდველი“ უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო „გამყიდველი“ თავის მხრივ, ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.07%-ის ოდენობით დაგვიანების ყოველი დღისათვის.

8.4. „მხარებს“ აგრეთვე უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე „ხელშეკრულება“ ერთობლივი შეთანხმებით, რომელიც აუცილებლად უნდა გაფორმდეს „მხარეთა“ მიერ წერილობით ფორმით.

8.5. „გამყიდველების“ **აკაკი ბერიშვილის** (პირადი ნომერი: 01017008987) და **დავით გზირიშვილის** (პირადი ნომერი: 01010004630) მიერ საკუთარი წილობრივი საკუთრების უფლების „მყიდველისათვის“ გადაცემისა და „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულების 6.2.1 პუნქტით განსაზღვრული „ნასყიდობის ფასის“ შესაბამისი ნაწილის გადახდის შედეგად, „მყიდველსა“ და „გამყიდველებს“ - აკაკი ბერიშვილსა (პ/ნ 01017008987) და დავით გზირიშვილს (პ/ნ 01010004630) შორის დასრულდება სახელშეკრულებო ურთიერთობა და ამ „ხელშეკრულებით“ ერთმანეთის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები ჩაითვლება სრულად შესრულებულად და მათ ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ ექნებათ.

9. ფორს-მაჟორი

9.1. არც ერთი „მხარის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების დარღვევა ან შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ამ „მხარის“ წინააღმდეგ მოთხოვნის წარმოშობას ან არ განიხილება წინამდებარე „ხელშეკრულების“ დარღვევად, თუ ეს დარღვევა ან შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, რომელიც დადგა / წარმოიშვა / განვითარდა წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდგომ და რომლის წინასწარ განჭვრეტა ან თავიდან აცილება მოცემულ „მხარეს“ არ შეეძლო მიზანშეწონილი ზომების მიღებით. ეს განსაკუთრებული გარემოებები მოიცავს: წყალდიდობას, ხანძარს, მიწისძვრას და სხვა სტიქიურ უბედურებას, აგრეთვე ომს, სამხედრო მოქმედებას, გაფიცვას, აჯანყებას, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, პანდემიას, ეპიდემიას, სამთავრობო მოქმედებებს, საკანონმდებლო ან სამთავრობო აქტებსა და გადაწყვეტილებებს ან სხვა მსგავს ხდომილებებსა თუ მოქმედებებს.

9.2. ორივე „მხარეები“ ცალსახად თანხმდებიან და აცხადებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერის მომენტში ახალი კორონავირუსი (COVID-19) უკვე არსებობს და მთელ მსოფლიოში გამოცხადებულია პანდემიად, მასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებული ახალი ან გამკაცრებული რეგულაციები, მიღებული გადაწყვეტილებები, საკანონმდებლო რეგულაციები და სხვა გარემოებები, რომელიც რომელიმე „მხარეს“ ხელს შეუშლის ამ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, განხილული იქნება ფორს-მაჟორად.

9.3. „მხარე“, რომელიც აცხადებს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომას, გათავისუფლდება თავისი „სახელშეკრულებო“ ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ფორს-მაჟორული გარემოება ხელს უშლის მის მიერ ვალდებულებების შესრულებას და იგი არ გათავისუფლდება ამ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან, რომელსაც არ აფერხებს ფორს-მაჟორული გარემოება.

9.4. „მხარემ“, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა ასეთი გარემოებების დადგომიდან, ვალდებულია აცნობოს წერილობით მეორე „მხარეს“ ამ გარემოების შესახებ შესაბამისი აღწერით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაგზავნილი მითითებულ ვადაში, „მხარე“, რომელმაც დაარღვია ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ვერ შეძლებს გამოიყენოს ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

10. მარეგულირებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

10.1. ეს „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.2. „მხარეთა“ შორის უთანხმოების შემთხვევაში, ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ მოლაპარაკებით ვერ დაარეგულირებენ მათ შორის არსებულ დავას აღნიშნულ ვადაში, ნებისმიერ „მხარეს“ უფლება აქვს მიმართოს საქართველოს საერთო იურისდიქციის მქონე სასამართლოებს.

11. სხვადასხვა

11.1. ეს „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 5 (ხუთ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული მიიჩნევა ორიგინალად, მაგრამ ერთობლიობაში ისინი წარმოადგენენ ერთ სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტს.

11.2. ეს „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი „ხელმოწერისა“ და „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის მომენტიდან.

11.3. ეს „ხელშეკრულება“ აუქმებს „მხარეთა“ შორის ამავე საკითხზე არსებულ ყველა წინარე კორესპონდენციას, შეთანხმებასა და მოლაპარაკებას.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ ამ „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულება აღმოჩნდება ბათილი ან აღუსრულებელი, „მხარეები“ თანხმდებიან დაიწყონ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებანი, რომლებიც მიზნად ისახავს ბათილი/აღუსრულებელი დებულების შეცვლას ნამდვილი და აღსრულებადი დებულებით, რომელსაც ექნება მსგავსი ეფექტი და რომელიც ემსახურება „ხელშეკრულების“ მიზანს.

11.5. ამ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით.

12. მხარეთა ხელმოწერები

„ხელშეკრულების“ ხელმოწერით „მხარეები“ ადასტურებენ, რომ იცნობენ მის შინაარს და სრულად ეთანხმებიან მასში მითითებულ დებულებებს:

გამყიდველი:

აკაკი ბერიშვილი

გიორგი მოისწრაფიშვილი

დავით გზირიშვილის სახელით,
აკაკი ბერიშვილი

„მყიდველი“ - შპს „რუმს ფემილი“

მალხაზ მაღრაძე
დირექტორი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.13.001.104

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882020159282 - 26/02/2020 19:35:46

მომზადების თარიღი
27/02/2020 10:36:22

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	11	13	001/104

მისამართი: ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , I კვარტლის მიმდებარედ , (ნაკვეთი N1/40)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: თანასაკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1500.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.11.13.001.097;**

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011117905 , თარიღი 18/03/2011 17:57:07
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 28/03/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/03/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- შეთანხმება მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შესახებ , დამოწმების თარიღი:29/04/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- შეთანხმება , დამოწმების თარიღი:01/03/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- თანამესაკუთრეთა შეთანხმება , გაფორმების თარიღი:05/04/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
აკაკი ბერიშვილი,P/N: 01017008987
გიორგი მოისწრაფიშვილი,P/N: 01008025043
დავით გბირიშვილი,P/N: 01010004630

მესაკუთრე:	აღწერა:
დავით გბირიშვილი	22%
აკაკი ბერიშვილი	20%
გიორგი მოისწრაფიშვილი	58%

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკა

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 892017222002 თარიღი 14/12/2017 17:51:43

აღნაგობის უფლების მქონე პირი: შპს კვადრატ ბილდერს გრუპ 404546185;
მესაკუთრე: აკაკი ბერიშვილი P/N: 01017008987; **გიორგი მოისწრაფიშვილი** P/N: 01008025043; **დავით გზირიშვილი** P/N: 01010004630;

საგანი:მიწის ნაკვეთი - ფართობი: 1500.00 კვ.მ.;
მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს არ აქვთ უფლება მიწის ნაკვეთი დატვირთონ იპოთეკით, ან სხვა ვალდებულებით მოაღნაგის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე;
მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/12/2017

სანოტარო აქტი აღნაგობის წინარე ხელშეკრულებისა და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულების შესახებ, რეესტრის ნომერი N171446483, დამოწმების თარიღი13/12/2017, ნოტარიუსი ო. ბოიძე, ლ. ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსი

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16075311, 11/05/2016 09:50:43

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ნიუ კონსტრაქშენი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405149085
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	11/05/2016
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვ. დოლიძის ქ., კორ. 10, ბ. 37
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	newconstruction72@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01001013611, მიხეილ უშარიძე

პარტნიორები

	წილი	წილის მმართველი
მესაკუთრე 01021010264, ლევან ცოგოშვილი	50.000000000%	
01001013611, მიხეილ უშარიძე	50.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20050582, 04/07/2020 01:14:34

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს პალა +
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405401462
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	04/07/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, კვარტ. I, კორპ. 3, ბ. 1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: mmagradze27@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - მალხაზ მაღრაძე, 01010004394

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
მალხაზ მაღრაძე, 01010004394	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20053673, 14/07/2020 20:48:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს რუმს ფემილი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	405390526
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	10/06/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი საბურთალოს რაიონი, ოთარ ონიაშვილის ქუჩა, N 15

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: roomsfamely@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - მალხაზ მაღრაძე, 01010004394

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ნიუ კონსტრაქშენი, 405149085	50%	
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პალა +, 405401462	50%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

46351421390020

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200430923

რეგისტრაციის თარიღი

10.07.2020 წ

ნოტარიუსი: ლელა ინწკირველი
მისამართი: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების დადასტურების შესახებ

ორი ათას ოცი წლის ათ ივლისს მე, ოთარ ზოიძემ, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსს ქ. თბილისში, ლელა ინწკირველის სანოტარო ბიუროში, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით დავამყარე პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი სრულწლოვან და ქმედუნარიან პირთან - ბატონ **ლევან ბოლქვაძემ** (დაბადებული 19.03.1995 წ. პირადი №61006055319, რეგისტრირებული მისამართი: ქ. ბათუმი, შოთა რუსთაველის ქუჩა №61, ბინა №24), რომლის პირადობა დავადგინე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზის საფუძველზე (თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 62-ე მუხლის მე-4 პუნქტისა).

მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

მან ჩემს სანოტარო ბიუროში მყოფი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების _ **ლევან კალანდარიშვილისა** (დაბადებული 14.08.1973 წ. პირადი №01010006510, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, შალვა ნუციბიძის ფერდობი, 1-ლი მიკრორაიონი, კორპუსი №11, ბინა №33) და **მალხაზ მაღრაძის** (დაბადებული 27.12.1977 წ. პირადი №01010004394, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, შალვა ნუციბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი; კორპუსი №3, ბინა №1) თანდასწრებით განაცხადა, რომ:

ა) იგი არის **შპს „პალა-კვადრატ ჯგუფის“** (საიდენტიფიკაციო №404546185) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით;

ბ) **შპს „პალა-კვადრატ ჯგუფის“** სახელით სურს, გააკეთოს განცხადება, რომელსაც დავამოწმე მე, ნოტარიუსი, **ლევან კალანდარიშვილი** იქნება მოწმე, ხოლო განმცხადებლის ნაცვლად ნაცვლად ხელს მოაწერს **მალხაზ მაღრაძე.**

მან მოითხოვა შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე მოწმე გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ.

მოწმემ განაცხადა, რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები.

მე შევამოწმე ლევან ბოლქვაძის უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „პალა-კვადრატ ჯგუფის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B20051468, 08/07/2020 14:21:32);

ბ) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის წესდება (დამოწმებული 09.03.2017 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №493);

გ) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის პარტნიორთა კრების ოქმი (19.06.2019 წ. ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 19.06.2019 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ);

დ) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის პარტნიორთა თანხმობა (07.06.2019 წ.) – ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 07.06.2019 წ. ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №190649580).

შესაბამისად, ვადასტურებ ლევან ბოლქვაძის უფლებამოსილების უნაკლობას.

[illegible] ნაწილის გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

„განცხადება
თანხმობის შესახებ

10 ივლისი, 2020 წ.

შპს „პალა-კვადრატ ჯგუფი“ (სახელმწიფო რეგისტრაციის დრო: 24/10/2017 წ. საიდენტიფიკაციო №404546185), რომელსაც წარმოვადგენ მე, მისი დირექტორი **ლევან ბოლქვაძე** (დაბადებული 19.03.1995 წ. პირადი №61006055319, რეგისტრირებული მისამართი: ქ. ბათუმი, შოთა რუსთაველის ქუჩა №61, ბინა №24),

რომელიც წინამდებარე განცხადების გაკეთების მომენტში ვიმყოფები საქართველოში, ქალაქ ბათუმში,

თანახმაა,

აკაკი ბერიშვილმა (პირადი №01017008987), **გიორგი მოისწრაფიშვილმა** (პირადი №01008025043) და **დავით გზირიშვილმა** (პირადი №01010004630)

თავიანთ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: **01.11.13.001.104**. დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ.)

თავიანთი შეხედულებისამებრ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ ყველა უფლებასთან და ვალდებულებასთან ერთად მიჰყიდონ **შპს „რუმს ფემილის“** (საიდენტიფიკაციო №405390526) ან სხვა ნებისმიერ სუბიექტს.

წინამდებარე თანხმობა არის გამოუწვევადი და იგი მოქმედებს უვადოდ.

ჩემ ნაცვლად წინამდებარე თანხმობას ხელი მოაწეროს **მალხაზ მალრაძემ** (პირადი №01010004394), ხოლო მოწმემ **ლევან კალანდარიშვილმა** (პირადი №01010006510) დაამოწმოს ყოველივე ზემოთქმული.“

ეგზემპლარები:
წინამდებარე აქტი შედგენილია 4 იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება სანოტარო არქივში, დანარჩენი გადაეცემა ხელმომწერს.

დანართები:
1) წინამდებარე აქტის ყველა ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:
ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „პალა-კვადრატ ჯგუფის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების დრო: B20051468, 08/07/2020 14:21:32);

2) წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული შემდეგი დოკუმენტები ინახება ჩემს სანოტარო არქივში:

ა) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის წესდება (დამოწმებული 09.03.2017 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, შტამპი №493);

ბ) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის პარტნიორთა კრების ოქმი (19.06.2019 წ. ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული 19.06.2019 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ);

გ) შპს „კვადრატ ბილდერს გრუპ“-ის პარტნიორთა თანხმობა (07.06.2019 წ.) – ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 07.06.2019 წ. ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №190649580).

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):

ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 59.00 ლარი (ნოტარიუსის საზღაური 50.00 ლარი; დღგ: 9.00 ლარი);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);

სულ: 61.00 ლარი.

წინამდებარე აქტი მე, ნოტარიუსმა, წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელსა და დამსწრე პირებს. დამსწრე პირებმა წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ აქტი ზუსტად ასახავს მათი თანდასწრებით მომხდარ ფაქტებს, რაც ასახულია წინამდებარე აქტში და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე აქტს.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

განმცხადებელი შპს „პალა-კვადრატ ჯგუფი“
(დირექტორი ლევან ბოლქვაძე)

განმცხადებლის ნაცვლად ხელმომწერი მალხაზ მაღრაძე

მალხაზ მაღრაძე

მოწმე ლევან კალანდარიშვილი

ნოტარიუსი ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

თანხმობა

16 ივლისი, 2020 წ.

ჩვენ, **შპს „რუმს ფემილის“** (საიდენტიფიკაციო №405390526) პარტნიორები (თითოეული წილის 50.00%-ის მესაკუთრე):

ა) **შპს „ნიუ კონსტრაქშენი“** (საიდენტიფიკაციო №405149085), რომელსაც წარმოვადგენ მე, მისი დირექტორი **მიხეილ უშარიძე** (დაბადებული 17.03.1972 წ. პირადი №01001013611, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი №10, ბინა №37),

და

ბ) **შპს „პალა+“** (საიდენტიფიკაციო №405401462), რომელსაც წარმოვადგენ მე, მისი დირექტორი **მალხაზ მაღრაძე** (დაბადებული 27.12.1977 წ. პირადი №01010004394, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, 1-ლი კვარტალი კორპუსი №3, ბინა №1),

თანახმა ვართ,

შპს „რუმს ფემილიმ“ (საიდენტიფიკაციო №405390526) იყიდოს მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.11.13.001.104. დაზუსტებული ფართობი: 1500 კვ.მ.).

ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა პირობა განსაზღვროს მყიდველის დირექტორმა ან მისგან უფლებამოსილმა პირმა.

პარტნიორები:

ა) შპს „ნიუ კონსტრაქშენი“

(დირექტორი მიხეილ უშარიძე) მიხეილ უშარიძე

ბ) შპს „პალა+“

(დირექტორი მალხაზ მაღრაძე) მალხაზ მაღრაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N200448982**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**16.07.2020 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლელა ინწკირველი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**295-44-10**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**93235317498020**

მე, ოთარ ზოიძემ, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსმა ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების _ მიხეილ უშარიძისა (დაბადებული 17.03.1972 წ. პირადი №01001013611, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი №10, ბინა №37) და მალხაზ მაღრაძის (დაბადებული 27.12.1977 წ. პირადი №01010004394, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, 1-ლი კვარტალი კორპუსი №3, ბინა №1) ხელმოწერების ნამდვილობა თანხმობაზე (16.07.2020 წ.).
ხელმოწერები შესრულდა ჩემი თანდასწრებით პირადად ხელმომწერების მიერ მას შემდეგ, რაც მათ განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

ეგზემპლარები: 5

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):
ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 23.60 ₾ (ნოტარიუსის საზღაური 20.00 ₾; დღგ: 3.60 ₾);
ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ₾ (დღგ-ს ჩათვლით);
სულ: 25.60 ₾.

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეტანის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N200449097**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**16.07.2020 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ლელა ინწკირველი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**295-44-10**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**31786812948120**

მე, ოთარ ზოიძემ, ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე ნოტარიუსმა ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების _ მალხაზ მაღრაძის (დაბადებული 27.12.1977 წ. პირადი №01010004394, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, მე-2 მიკრორაიონი, 1-ლი კვარტალი კორპუსი №3, ბინა №1), აკაკი ბერიშვილის (დაბადებული 17.04.1965 წ. პირადი №01017008987, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ლ. შარაშიძის ქუჩა №5), გიორგი მოისწრაფიშვილისა (დაბადებული 23.11.1965 წ. პირადი №01008025043, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, სულახან ცინცაძის ქუჩა №28, ბინა №57) და დავით გზირიშვილის (დაბადებული 01.01.1966 წ. პირადი №01010004630, რეგისტრირებული მისამართზე: საქართველო, ილია ჭავჭავაძის გამზირი №29/31/33, ბინა №78) რწმუნებულის _ აკაკი ბერიშვილის (დაბადებული 17.04.1965 წ. პირადი №01017008987, რეგისტრირებული მისამართი: ქ. თბილისი, ლ. შარაშიძის ქუჩა №5) (საფუძველი: სანოტარო აქტი სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, დამოწმებული 08.05.2017 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170490823) ხელმოწერების ნამდვილობა ხელშეკრულებაზე:
უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (16.07.2020 წ.).
ხელმოწერები შესრულდა ჩემი თანდასწრებით პირადად ხელმომწერების მიერ მას შემდეგ, რაც მათ განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.
აკაკი ბერიშვილის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანოტარო აქტი სპეციალური უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, დამოწმებული 08.05.2017 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №170490823) ინახება ჩემს სანოტარო არქივში.
ეგზემპლარები: 5

სანოტარო მომსახურების ხარჯები (საფუძვლები: საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 31-ე და 39-ე მუხლები, საგადასახადო კოდექსის 169.1ა მუხლი):
ა) სანოტარო მომსახურების საფასური: 224.20 ₾ (ნოტარიუსის სარგო: 190.00 ₾; დღგ: 34.20 ₾);
ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2.0 ₾ (დღგ-ს ჩათვლით);
სულ: 224.20 ₾.

ნოტარიუს ლელა ინწკირველთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე
ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**